ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა

და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ.ვანი თავისუფლებისN65 7 ივნისი 2018 წელი

11.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, თენგიზ დვალიშვილი, ამირან ტალახაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, კობა ძაგნიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ვანის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს ,,ფარმაცია - ვანი“ - ს დირექტორი - ჯამბულ ბელთაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს ფარმაცია ,,ვანი“-ს 2017 წლის ანგარიში განვლილი და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

მომხს: /ჯამბულ ბელთაძე/

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს ფარმაცია ,,ვანი"-ს 2017 წლის ანგარიში განვლილი და მიმდინარე მუშაობის შესახებ და მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ შ.პ.ს ფარმაცია ,,ვანი" მომსახურეობას უწევს საყოველთაო ჯანდაცვაში დაზღვეულ ბენეფიციარებს ასევე ფუნქციონირებს გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურეობა.

2017 წელს გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურეობა გაეწია 3996 ბენეფიციარს.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მომსახურეობა გაეწია 7416 ბენეფიციარს.

2018 წლის პირველ კვარტალში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურეობა გაეწია 950 ბენეფიციარს.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ჩართული ვართ C ჰეპატიტის პროგრამაში, შევიძინეთ თვალის ლაზერული აპარატი და კეთდება თვალის კატარაქტის ოპერაციები. მიმდინარეობს გაფართოებითი მშენებლობები და ასევე დამონტაჟდა ჟანგბადის თერაპიის აპარატი.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა მოიწონეს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და მადლობა გადაუხადეს შ.პ.ს. ფარმაცია ,,ვანი" - ს დირექტორს.

გადაწყვიტეს:

კომისიამ მოიწონა ვანის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს ფარმაცია ,,ვანი"-ს 2017 წლის ანგარიში განვლილი და მიმდინარე მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოსმენას.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე